ხელშეკრულება №172

ქ. ოზურგეთი 22 სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის, ბეგლარ სიორიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „თეგასი", წარმოდგენილი დირექტორის, თეიმურაზ სირაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა საქონელის შესყიდვა დანართის შესაბამისად.
1.2. CPV კოდი: შესყიდვის ობიექტის CPV კოდები მოცემულია დანართში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **485,50 (ოთხასოთხმოცდახუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სხვა).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხდება ეტაპობრივად შემსიყდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და შესყიდვების განყოფილების უფროსი დავით გორდელაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად ეროვნული ვალუტით.
6.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდების შემდეგ.
6.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და შესყიდვების განყოფილების უფროსი დავით გორდელაძე.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 სეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850 ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბანკის კოდი: UGEBGE22 ა/ა GE85VT 4300 0000 0004 3303	შ.პ.ს. „თეგასი“ მისამართი: ქ. ოზურგეთი, ა. წულაძის ქ. №10; საიდენტიფიკაციო კოდი: 437 063 106 ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE52LB 0113 1504 8445 0000
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:	*შ.პ.ს. „თეგასი“-ს დირექტორი:*
ბ. სირორიძე	*თ. სირაძე*

№	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	19640000	სანაგვე პარკი	შეკვრა	20	3,8	76,00
2	24959100	აეროზოლი	ცალი	5	3,5	17,50
3	33711900	თხევადი საპონი	ცალი	10	3	30,00
4	33761000	ტუალეტის ქაღალდი	ცალი	20	0,6	12,00
5	39525800	მაგიდის საწმენდი ტილო	შეკვრა	10	1	10,00
6	39224100	ცოცხი	ცალი	2	5,5	11,00
7	39525800	იატაკის საწმენდი ტილო	ცალი	2	5,5	11,00
8	39830000	ქლორი	ცალი	5	2	10,00
9	39830000	ფეირი	ცალი	5	3	15,00
10	39224320	ჭურჭლის ღრუბელი	ცალი	10	0,3	3,00
11	39831200	სარეცხი ფხვნილი	ცალი	5	2	10,00
12	39831600	„დომესტოსი“	ცალი	10	4,5	45,00
13	39514300	ხელსახოცი რულონი	შეკვრა	20	2	40,00
14	39514300	მაგიდის ხელსახოცი	შეკვრა	20	1,5	30,00
15	22852100	ფაილი	შეკვრა	30	5,5	165,00
		ჯამი				**485,50**

„მ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი,
კოსტავას ქ. №1
საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850
ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE85VT 4300 0000 0004 3303

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:

გ. სიორიძე

„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“

შ.პ.ს. „თეგასი“
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ა. წულაძის ქ. №10;

საიდენტიფიკაციო კოდი: 437 063 106
ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“.
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE52LB 0113 1504 8445 0000

შ.პ.ს. „თეგასი“-ს დირექტორი:

თ. სირაძე